

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

სარჩევი

გვერდი

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები	8-32

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები	7
3. ახალი და რედაქტირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება	16
4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები და შეფასებათა არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები	17
5. შემოსავალი	17
6. პერსონალის ხარჯები	18
7. მომსახურების ხარჯები	19
8. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	19
9. მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი	19
10. ფინანსური ხარჯები, წმინდა	20
11. ძირითადი საშუალებები	20
12. მარაგები	21
13. სავაჭრო მოთხოვნები	22
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
15. აღებული სესხები	22
16. სავაჭრო და სხვა გადასახდელები	23
17. ობლიგაციები	23
18. ფინანსური ინსტრუმენტები	24
19. ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან	24
20. პირობითი ვალდებულებები	28
21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ	29
	30

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შემოსავალი	5	5,951	-
სხვა შემოსავალი		-	-
პერსონალის ხარჯები	6	(659)	-
მმართველობის საფასური	19.3	(336)	-
მომსახურების ხარჯები	7	(323)	-
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	8	(231)	-
რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები		(111)	-
საწვავის ხარჯი		(28)	-
ქირის ხარჯი		(22)	-
დისპეჩერიზაციის, გადაცემისა და ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები		(21)	-
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები		(12)	-
ზარალი მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან სხვა ხარჯები	9	(493)	-
		(33)	-
მოგება ფინანსურ ხარჯებამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		3,682	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(832)	-
მოგება ფინანსურ ხარჯებამდე და მოგების გადასახადამდე		2,850	-
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	10	(245)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		2,605	-
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		2,605	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		2,605	-


გენერალური დირექტორი
გიორგი ჭიჭინაძე

შპს "სილქ ენერჯი ჰოლდინგ"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	22,499	-
არამატერიალური აქტივები		7	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		22,506	-
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	753	-
საგადასახადო აქტივები, წმინდა		42	-
გადახდილი ავანსები		13	-
სავაჭრო მოთხოვნები	13	456	100
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	2,357	-
სულ მიმდინარე აქტივები		3,621	100
სულ აქტივები		26,127	100
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		-	100
დაგროვილი ზარალი		8,449	-
სულ საკუთარი კაპიტალი		8,449	100
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები	15	10,145	-
ობლიგაციები	17	3,782	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,927	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,371	-
აღებული სესხები	15	1,321	-
ობლიგაციები	17	59	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,751	-
სულ ვალდებულებები		17,678	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,127	100

გენერალური დირექტორი
გიორგი ჭიჭინაძე

შპს "სილქ ენერჯი ჰოლდინგ"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	-	-
შენატანი კაპიტალში	-	-	-
წლის სრული ზარალი	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	100	-	100
კორექტირება	5,744	-	5,744
წლის სრული შემოსავალი	-	2,605	2,605
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	5,844	2,605	8,449


გენერალური დირექტორი
გიორგი კიჭინაძე

შპს "სილქ ენერჯი ჰოლდინგ"

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ნაღდი ფული		6,180	-
მომწოდებლებისა და თანამშრომლებისთვის გადახდილი ნაღდი ფული		(2,487)	-
დღგ დაბრუნება		389	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		<u>4,082</u>	<u>-</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა და სრულყოფა		(374)	-
მანქანა-დანადგარების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	-
შეზღუდული ნაღდი ფულის გამოთავისუფლება		-	-
გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი		-	-
მიღებული პროცენტი		5	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		<u>(369)</u>	<u>-</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
დაფარული სესხები	15	(1,098)	-
გადახდილი პროცენტი	15, 17	(1,236)	-
აღებული სესხებიდან მიღებული შემოსავალი	15	360	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		<u>(1,974)</u>	<u>-</u>
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		<u>1,739</u>	<u>-</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		658	-
საკურსო სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(40)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	14	<u>2,357</u>	<u>-</u>


გენერალური დირექტორი
გიორგი ჩიკინაძე

შპს „სილქ ენერჯი ჰოლდინგ“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სილქ ენერჯი ჰოლდინგ“ არის უშუალო მშობელი კომპანია შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ (შემდგომში „კომპანია“), რომელიც არის 2009 წლის 15 იანვარს საქართველოს კანონდამდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი უშუალო მაკონტროლებელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი“.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის მფლობელობა და ექსპლუატაცია.

კომპანია დაფუძნდა შპს „როტერმან-ჯორჯიასა“ და შპს „ჯორჯიან ჰაიდრო პაუერს“ შორის პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, კერძოდ კი საქართველოში, ოზურგეთში მდინარე ბახვისწყალზე ბახვი 3-ის ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივად მშენებლობის, ექსპლუატაციაში გაშვებისა და გამოყენების მიზნით. აღნიშნული ჰიდროელექტროსადგური სრული დატვირთვით მუშაობს 2015 წლის ზაფხულიდან.

კომპანიამ 2009 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „ემ“), რომელიც წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტს მოცემული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის, მშენებლობისა და გარკვეული სავაჭრო პარამეტრების თაობაზე. 2016 წლის 8 იანვრის და 2022 წლის 23 თებერვლის შესწორებების თანახმად, კომპანიის სავაჭრო საქმიანობაზე ვრცელდება შემდეგი შეზღუდვები:

- სადგურის ექსპლუატაციაში შესვლიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში, 2013 წლის აგვისტოდან 2023 წლის აგვისტომდე, ყოველ წლის ზამთრის პერიოდში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი და დეკემბერი) კომპანიამ წარმოებული ელექტროენერგია თავისი სურვილისამებრ სრულად უნდა მიჰყიდოს საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველს თავისუფალი განკვეთით ან ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს წინასწარ შეთანხმებული გარანტირებული ფასით, 1 კვტ/სთ 0.55 აშშ დოლარად.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილებს ფლობდნენ:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ“	-	63.27%
შპს „CCEH Hydro II“	19.63%	19.63%
შპს „CCEH Hydro I“	17.10%	17.10%
შპს „სილქ ენერჯი ჰოლდინგ“	63.27%	-
სულ	100%	100%

2021 წელს უშუალო მშობელი კომპანია შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ“ შეცვალა შპს „სილქ ენერჯი ჰოლდინგმა“. 2021 წლის აპრილში, მშობელმა კომპანიამ, შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგმა“ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ წილის 63.27% გადასცა შპს „სილქ ენერჯი ჰოლდინგს“ (შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის“ 100%-იანი წილის მფლობელი).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან გიორგი რამიშვილი და ერქინ ტატიშვილი.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

2.1 მომზადების საფუძველი

შესაბამისობის ანგარიში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განჭვრეტად მომავალში გაარძელებს მუშაობას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, სამართლიანი ღირებულება დგინდება აღნიშნულ საფუძველზე, გარდა აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურებით განხორციელებული ტრანზაქციებისა, რომლებიც ფასს 2-ის მოქმედების არეალში ხვდება, იჯარის ტრანზაქციებისა, რომლებსაც ბასს 17 არეგულირებს და გაზომვის ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულების ზოგიერთი მახასიათებელი აქვს, მაგრამ სამართლიანი ღირებულება არ არის, მაგალითად, ბასს 2-ით გათვალისწინებული წმინდა რეალიზებადი ღირებულება ან ბასს 36-ით მოცული გამოყენებული ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (“ლარი”). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს ურთიერთჩათვალის იგი წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. კომპანია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

2.2 შემოსავლის აღიარება

კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელზე ან მომსახურებაზე გადადის კლიენტზე და აისახება იმ თანხით, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი აღიარდება დამატებითი

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში ყველა შეთავაზების შემთხვევაში, რადგან თითოეულ შეთავაზებაზე მხოლოდ ერთი შესრულების ვალდებულება არსებობს:

გენერირებული ელექტროენერგიის გაყიდვა აღიარდება მრიცხველით აღრიცხული ელექტროენერგიის საფუძველზე და გამოითვლება მოქმედი ტარიფებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავალი

ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და ამ სარგებლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა. საპროცენტო შემოსავლების აღიარება ხდება დროის შუალედში დარჩენილი ძირითადი თანხის გათვალისწინებით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც არის განაკვეთი, რითიც ზუსტად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში ამავე აქტივის თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

2.3 უცხოური ვალუტები

კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. არამონეტარული ერთეულები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაფასებას არ ექვემდებარება.

საკურსო სხვაობები მონეტარულ ერთეულებზე შედის მათი დაფიქსირების პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები, რომლებიც წლის ბოლოს დაფიქსირდა:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
GEL/USD	3.0976	3.2766
GEL/EUR	3.5040	4.0233

2.4 თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, ჯამაგირები, წლიური და ავადმყოფობის შვებულების ანაზღაურება, ბონუსები და სხვა ბენეფიტები (კვება, ცხოვრება, ტრანსპორტირება, ა.შ.) ირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები შესაბამის მომსახურებას გასწევენ. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს ვალდებულება, სახელმწიფო ფონდში დაქირავებული პირის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეიტანოს ამ თანამშრომელზე დარიცხული ხელფასის 2%.

2.5 გადასახადები

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით მოგების გადასახადის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება კომპანიაზე. მისი საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ჩათვლილ მოგების განაწილებას, მათ შორის:

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების “მოგების გადასახადის” კატეგორიაში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც მიმდინარე და წინა პერიოდებთანაა დაკავშირებული, აისახება საგადასახადო ორგანოებისათვის საგარეოდ გადასახდელი ან მათგან მისაღები ოდენობით.

განაწილებული მოგების გარდა სხვა ერთეულებზე დარიცხული გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების კატეგორიაში “გადასახადები მოგების გადასახადის გარდა”.

დაბეგვრის ახალი კონცეფციის შესაბამისად, ტერმინი “აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა” კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას. კომპანიების დაბეგვრის ახალი მოდელით მნიშვნელობას კარგავს გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების განსაზღვრება ბასს 12 - “მოგების გადასახადი” მიხედვით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაციდვებთან დაკავშირებული, გამავალი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება შემდეგი ორი თარიღიდან უადრესზე: (ა) კლიენტებისგან მოთხოვნების მიღება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. შემავალი დღე ჩვეულებრივ იქცეოდა გამავალი დღე-დან საგადასახადო ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები კომპანიებს ნებას რთავენ, დღე ურთიერთჩათვალონ ნეტ საფუძველზე. გაციდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე ნეტ საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით დღე-ის ჩათვლით.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ერთეულების შესყიდვასთან.

შემდგომი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც ცალკე აქტივი (კონტექსტის მიხედვით) მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და მისი ღირებულების სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელი იქნება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა შეკეთება-რემონტის ხარჯი შედის იმ ფინანსური პერიოდის შემოსავლების ანგარიშგებაში, რომელშიც ისინი გაიწია.

ძირითადი საშუალებების ცვეთა აღირიცხება ცვეთადი ოდენობის ჩამოსაწერად აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

კატეგორია

ცვეთის განაკვეთი

შენიშვნები და მიმდინარე მშენებლობები	
ძირითადი საშუალებები:	2.5%
მანქანა-დანადგარები და გადამცემი ხაზები	
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	4%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
	20%

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

ცვეთადი ოდენობა არის ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის ის გაანგარიშებული თანხა, რასაც კომპანია მიიღებდა ამ ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან რეალიზაციის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი იქნებოდა სასარგებლო მოხმარების ვადა-მიღწეული და შესაბამის მდგომარეობაში. აქტივის ნარჩენი ღირებულება წულის ტოლია, თუ კომპანია აქტივის მოხმარებას მისი მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში ვარაუდობს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც ბუღალტრული შეფასების ცვლილება.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან რეალიზაციით მიღებული მოგება ან ზარალი დგინდება, როგორც სხვაობა სარეალიზაციო შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულება შორის და აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიმდინარე მშენებლობები მოიცავს ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მიმდინარე მშენებლობის ცვეთა, ისევე, როგორც ძირითადი საშუალებების სხვა კატეგორიების შემთხვევაში, იწყება, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად, ანუ როდესაც იგი იმყოფება იმ ადგილას და პირობებში, რაც აუცილებელია იმისათვის, რათა იგი ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად იყოს გამოყენებული.

2.7 მატერიალური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, დგინდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ხარჯი აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში (თუ იგი აჭარბებს წინა გადაფასების ნამატს კაპიტალში). წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის დასადგენად გამოყენებულ გაანგარიშებაში.

2.8 მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება დგინდება, როგორც სავარაუდო გასაყიდი ფასი, ტრანზაქციის დასრულების ყველა სავარაუდო ხარჯის გამოკლებით.

2.9 რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (როდესაც ფულის ღირებულება დროში დიდია).

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე.

2.10 ფინანსური ინსტრუმენტები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც საკმარისია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

2.11 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს ელექტროენერგიის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან ფასდაკლების ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად დისკონტებს საგარაუდო სამომავლო ფულადშემოსულობებს ან გადინებებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის საგარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიების ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, სამ თვემდე თავდაპირველი ვადიანობით.

შეზღუდული ნაშთები, საბანკო ანგარიშის ჩათვლით, ფულის და ფულის ეკვივალენტების კატეგორიიდან, ფულადი სახსრების ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, ამოღებულია. საბანკო ანგარიში არის შეზღუდული მიმდინარე ანგარიში, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიის მხრიდან თანხების ნებისმიერ დროის გატანა კონტრაქტით შეზღუდულია. ამდენად, შეზღუდულ ანგარიშზე არსებული ბალანსი ისეთი ინვესტიციის ეკვივალენტია, რომელშიც ძირითადი თანხის დასაბრუნებლად საჭიროა არა მხოლოდ ფულის გატანის მოთხოვნა, არამედ გარკვეული პირობების დაკმაყოფილება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების საგარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული საგარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, ხოლო ეს უკანასკნელი თავდაპირველი აღიარებისას გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში კომპანიაში 12 თვიანი მსდ იქმნება.

სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე კომპანიაში შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიურია.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამისი თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. კომპანია განსაზღვრა სრული მსდ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. კომპანია სხვა მოთხოვნების მსდ-ს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილ დანაკარგის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შექმნა. ამოუღებელი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში კომპანია მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გამოსყიდულია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანია გადაცემის უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლი შენარჩუნებულია თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის მიყიდვის უფლება არადაკავშირებულ მესამე მხარეზე გაყიდვისას დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

2.13 ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან წილის სახით

კომპანიის მიერ გამოშვებული სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსისა და ფინანსური ვალდებულების და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება და გამოიქვითება პირდაპირი კაპიტალიდან. მოგების ან ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შემთხვევაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები (აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით) თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნებისმიერი სხვაობა შემოსავალსა (ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით) და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სასესხო ხაზის მიღებაზე გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც სესხის ტრანზაქციის ხარჯები, თუ სავარაუდოა, რომ მოთხოვნილი იქნება ხაზის ნაწილი ან ხაზი მთლიანად. ასეთ შემთხვევაში, საკომისიო გადავადდება სესხის თანხის მოთხოვნამდე. თუ არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ სავარაუდოდ, თანხის მოთხოვნა არ მოხდება, საკომისიო კაპიტალიზდება, როგორც წინასწარი გადახდა ლიკვიდობის მომსახურებაზე და ამორტიზდება იმ სესხის დროის პერიოდში, რომელთანაც იგი დაკავშირებულია.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

როდესაც კომპანია არსებულ გამსესხებელთან ერთ სავალო ინსტრუმენტს სხვა სავალო ინსტრუმენტით ანაცვლებს, რომლის პირობები არსებითად განსხვავებულია, ამგვარი ჩანაცვლება განიხილება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. ამის მსგავსად, არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებით მოდიფიცირებას კომპანია აღრიცხავს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვასა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებას. პირობები არსებითად განსხვავებულად ითვლება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, გადახდილი და მიღებული გადახდების

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

სხვაობა, რომელიც თავდაპირველი ეფექტური განაკვეთითაა დისკონტირებული, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ მოდიფიცირება არაარსებითია, სხვაობა (1) მოდიფიკაციამდელი ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა; და (2) მოდიფიკაციის შემდგომი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალის სხვა მოგებასა და ზარალის მუხლში, როგორც მოდიფიკაციის ზარალი ან მოგება.

2.14 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღირიცხება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

3. ახალი და რედაქტირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

- **ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა** - მე-2 ფაზა (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მე-2 ფაზა (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)“ ისეთ პრობლემებზე მიმართული შესწორებებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შემდეგ, ალტერნატიული ამოსავალი განაკვეთებით ჩანაცვლების ჩათვლით. შესწორებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადადელი გამოყენება ნებადართულია.

მე-2 ფაზის შესწორებების მიხედვით:

- როდესაც კომპანიის საბანკო სესხების საკონტრაქტო პირობები იცვლება და ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ხოლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია პროსპექტიულად ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დადგენის საფუძველს და ამისათვის აკორექტირებს მოქმედ საპროცენტო განაკვეთს.
- თუ ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად მოხდა იჯარის მოდიფიცირება და საიჯარო გადახდების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, რათა ასახოს კორექტირებული და ახალი დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებული საიჯარო გადახდები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი საფუძველის ცვლილება.

აღნიშნული შესწორებების გამოყენება კომპანიას საშუალებას აძლევს, ბანკთაშორისი განაკვეთებიდან ალტერნატიულ ამოსავალ საპროცენტო განაკვეთებზე (იგივე „ურისკო განაკვეთები“) გადასვლის ეფექტი ისე ასახოს აღრიცხვაში, რომ ამით არ გამოიწვიოს სააღრიცხვო ეფექტი, რაც არ მისცემდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას. კომპანიას წინა პერიოდის გადაფასება არ გაუკეთებია. გარდა ამისა, არ მომხდარა შესწორებათა ეფექტის რეტროსპექტიული ასახვა ან ფინანსური ინფორმაციის მიზნებისათვის 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კაპიტალის შესაბამის კომპონენტებში კორექტირების აღიარება.

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

- კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 21 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასის) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)“, რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწევა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

კომპანიის მმართველობამ განიხილა აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მათი მოქმედება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე უმნიშვნელოა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია

ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის

ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ფასს 4 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებთან (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	
სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2021 წლების ციკლი: მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - „მომხმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი“	1 იანვარი 2022
შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა და ბასს 16 - იჯარა სტანდარტზე დართული საილუსტრაციო მაგალითები	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	

თარიღს დაადგენს ბასსს

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები და შეფასებათა არასარწმუნოების უმაღლესი წყაროები

კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას (შენიშვნა 2), ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

4.1 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენების პროცესში

ქვემოთ აღწერილია ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და განსჯის ასპექტები, გარდა სავარაუდო შეფასებებისა (მოცემულია დოკუმენტში ქვემოთ), რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებისას და რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

როგორც ზემოთ, 2.6 შენიშვნაში აღინიშნა, კომპანია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადას ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ამოწმებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივებით წარმოდგენილი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით მოიხმარება.

თუმცა, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს ამ ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

სასარგებლო მოხმარების დარჩენილი ვადა ფასდება აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც აქტივებმა კომპანიას, სავარაუდოდ, სარგებელი უნდა მოუტანოს.

მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი მოხმარება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ბაზრის პირობების ცვლილებით გამოწვეული ტექნიკური მოძველება.

5. შემოსავალი

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ მიმდინარე ოპერაციებიდან მიღებული წლიური შემოსავლის ანალიზი (ფინანსური შემოსავლის გამოკლებით - იხილეთ შენიშვნა #10).

	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე	5,951	0
	<u>5,951</u>	<u>0</u>

2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიამ მიიღო ელექტროენერგიის გაყიდვით მხოლოდ ელექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პირდაპირი კონტრაქტებით.

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

6. პერსონალის ხარჯები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში პერსონალის ხარჯები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ხელფასები	614	0
სხვა ბენეფიტები	45	0
	<u>659</u>	<u>0</u>

7. მომსახურების ხარჯები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში მომსახურების ხარჯები იყო:

	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
პროფესიული მომსახურების საკომისიო	205	0
დაზღვევის ხარჯები	63	0
ბანკის საკომისიოები	43	0
სხვა ხარჯები	12	0
	<u>323</u>	<u>0</u>

8. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში გადასახადები მოგების
გადასახადის გარდა იყო:

	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ქონებისა და მიწის გადასახადები	231	0
	<u>231</u>	<u>0</u>

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

9. მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი/(მოგება) იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი	508	0
მარაგების რეალიზაციით მიღებული (მოგება)/ზარალი	(15)	0
	<u>493</u>	<u>0</u>

ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მნიშვნელოვანი ზარალი განპირობებულია 2000 კილოვატიანი ტურბინის 506 ათას ლარად ღირებული დაშლით.

10. ფინანსური ხარჯები, წმინდა

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში წმინდა ფინანსური ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საკუროს სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი	(1,045)	0
საპროცენტო ხარჯი აღებულ სესხებზე	875	0
საპროცენტო ხარჯი ობლიგაციებზე	420	0
საპროცენტო შემოსავალი	(5)	0
	<u>245</u>	<u>0</u>

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

	თავისუფალი მიწა	შენობა- ნაგებობები და მშენებლობები	მიმდინარე მშენებლობა	მოწყობილობა და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება						
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	-	-	-	-	-
დამატება	-	-	-	-	-	-
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
გადატანა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	-	-	-	-	-
დამატება	47	17,704	-	9,927	185	27,863
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
გადატანა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	47	17,704	-	9,927	185	27,863
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 1 იანვარი 2020	-	-	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა	-	-	-	-	-	-
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	-	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა	-	(3,148)	-	(2,126)	(90)	(5,364)
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	(3,148)	-	(2,126)	(90)	(5,364)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	47	14,556	-	7,801	95	22,499

2,030 ათასი ლარის დამატება წარმოადგენს კაპიტალურ დანახარჯს - ტურბინის შეცვლა დამატებითი ავტომატიზაციის პროექტთან ერთად, რაც გადავიდა შენობებსა და ნაგებობებში 2021 წელს, 3 ათასი ლარის და 2,027 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2021 წლის განმავლობაში ძირითადი საშუალების რეალიზაციაში შესულია ტურბინისა და გენერატორის დაშლილი ნაწილების საბალანსო ღირებულება 550 ათასი ლარის ოდენობით.

ყველა არსებული ძირითადი საშუალება გამოყენებულია კომპანიის აღებული სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა #15). აქტივები გირაოს სახით გამოყენებულია საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ აქვს უფლება, ეს აქტივები სხვა სესხების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ან ისინი სხვა პირს მიჰყიდოს ბანკის ნებართვის გარეშე.

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

12. მარაგები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მარაგები იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეული	261	-
სათადარიგო ნაწილები და სხვა მარაგები	648	-
გამოკლებული: მოძველებული და წელა მოძრავი მარაგების რეზერვი	(156)	-
	<u>753</u>	<u>-</u>

წლის განმავლობაში მიმდინარე ოპერაციებზე ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულებამ შეადგინა 166 ათასი ლარი (31 დეკემბერი 2020: 0 ლარი).

2021 და 2020 წლების განმავლობაში დაძველებული და ძნელად მოძრავი მარაგების რეზერვის მოძრაობა იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაშთი წლის დასაწყისში	(328)	-
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხა	172	-
	<u>(156)</u>	<u>-</u>

13. სავაჭრო მოთხოვნები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	456	100
	<u>456</u>	<u>100</u>

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების 100% შეადგენს მოთხოვნებს სახელმწიფო ელექტრო-სისტემის კომერციული ოპერატორის (“ესკო”) მიმართ, რომლებიც არ არის ვადაგადაცილებული.

გაყიდვებზე საშუალო საკრედიტო პერიოდია 1 თვე. დასაფარ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების დანაკარგების რეზერვს ყოველთვის აფასებს არსებობის მანძილზე მსზ-ის ტოლი თანხით. სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტით გამოწვეულ ზარალზე და დეფოლტის რისკის ქვეშ მყოფ თანხაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანია იყენებს ისტორიულ დეფოლტის ალბათობებსა და სარეიტინგო სააგენტოებიდან მიღებულ დეფოლტით გამოწვეული ზარალის მაჩვენებლებს.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შედის ბანკში არსებული ნაღდი ფული და ვადიანი დეპოზიტი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ნაჩვენებია ფული და ფულის ეკვივალენტები შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პუნქტებს:

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ბანკში ადგილობრივ ვალუტაში	113	-
ნაღდი ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,244	-
	2,357	-

15. აღებული სესხები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღებული სესხები იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
უზრუნველყოფილი - ამორტიზებული ღირებულებით საბანკო სესხები	11,466	-
	11,466	-
მიმდინარე გრძელვადიანი	1,321	-
	10,145	-
	11,466	-

საბანკო სესხი აღებულია სს „თიბისი ბანკსგან“ და უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მთელი ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა #11).

გარდა ამისა, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხი უზრუნველყოფილია შპს „სენტერ პლაზას“ კომერციული ფართითა და 1-ელ შენიშვნაში მითითებული მშობელი კომპანიების მიერ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერში“ ფლობილი 100%-იანი წილით.

საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, კომპანიას დათქმები შესრულებული აქვს.

აღებული სესხების მოძრაობა იყო:

	2021	2020
1 იანვარი	12,910	-
დამატება წლის განმავლობაში	360	-
წლიური პროცენტი (შენიშვნა #10)	875	-
გადახდილი პროცენტი	(843)	-
გადახდილი ძირითადი თანხა	(1,098)	-
ვალუტის გაცვლით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა	(738)	-
31 დეკემბერი	11,466	-

16. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადასახდელები ძირითად საშუალებებზე	2,133	-
სხვა გადასახდელები და დარიცხვები	238	-
	2,371	-

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

მნიშვნელოვანი ზრდა გადასახდელებში ძირითადი საშუალებების სანაცვლოდ გამოწვეულია „WWS Wasserkraft GmbH“-გან ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებზე ჩასატარებელი სამუშაოებისათვის ტექნიკის შესყიდვით. აღნიშნული კომპანია არარეზიდენტი კონტრაგენტი. გადასახდელები დაიფარება მაშინვე, როგორც კი კომპანია არსებული კონტრაქტით გადახდის პირობების შესაბამისად მიიღებს ყველა დოკუმენტს.

საშუალო საკრედიტო პერიოდი ზოგიერთი საქონლის ადგილობრივ შესყიდვებზე 1 თვეა. გადასახდელებს პროცენტი არ ერიცხება.

17. ობლიგაციები

ობლიგაციები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
უზრუნველყოფის გარეშე - ამორტიზებული ღირებულებით ობლიგაციები	3,841	-
	<u>3,841</u>	<u>-</u>
მიმდინარე გრძელვადიანი	59	-
	<u>3,782</u>	<u>-</u>
	<u>3,841</u>	<u>-</u>

2017 წლის 3 ნოემბერს კომპანიამ გამოუშვა 1,265 ობლიგაცია ნომინალური ღირებულებით 1,000 აშშ დოლარი. ობლიგაციები სრულადაა გამოწერილი „თიბისი ბანკის“ მიერ და ღია ბაზარზე არ იყიდება. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 9.4% შესაბამისი გადასახადების ჩათვლით. დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ორჯერ, 3 მაისსა და 3 ნოემბერს. ობლიგაციების განაღდება მოხდება მათი გამოშვებიდან 10 წლის შემდეგ, 2027 წლის 3 ნოემბერს, ძირითადი/ნომინალური ღირებულებით, რასაც დაემატება დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებებს. ყველა მათგანი გაცემულია პარიტეტული უფლებით.

მოძრაობა ობლიგაციებში იყო:

	2021	2020
1 იანვარი	4,046	-
წლიური პროცენტი (შენიშვნა #10)	420	-
გადახდილი პროცენტი	(393)	-
ვალუტის გაცვლით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა	(232)	-
31 დეკემბერი	<u>3,841</u>	<u>-</u>

18. ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,357	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	455	-
ფინანსური ვალდებულებები		

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	2,370	-
აღებული სესხები	11,466	-
ობლიგაციები	3,841	-

18.2 ფინანსური რისკის მართვის ამოცანები

კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკს (მასში შედის სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს.

18.3 საბაზრო რისკი

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მასზე ძირითადად მოქმდებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსისა (იხილეთ შენიშვნა 18.4) და საპროცენტო განაკვეთის (იხილეთ შენიშვნა 18.5 ქვემოთ) ცვლილებით გამოწვეული რისკი. კომპანია სავალუტო რისკისა და საპროცენტო განაკვეთის ზემოქმედების სამართავად წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს არ იყენებს.

18.4 სავალუტო რისკის მართვა

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, წარმოიშობა დამოკიდებულება გაცვლითი კურსის მერყეობაზე.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს იყო:

	ვალდებულებები		აქტივები	
	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აშშ დოლარში დენომინირებული	15,542	-	2,030	-
ევროში დენომინირებული	1,934	-	214	-

კომპანიაზე ძირითადად მოქმედებს აშშ დოლარისა და ევროს კურსის ცვლილების რისკი.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდასა და შემცირებაზე, ლარის შესაბამის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 20%-იანი ცვლილებით. ქვემოთ მოცემული დადებითი რიცხვი გვიჩვენებს მოგებისა და კაპიტალის ზრდას, სადაც ლარის კურსი მყარდება 20 პროცენტით შესაბამის ვალუტასთან შედარებით. ლარის შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში 20 პროცენტით შესუსტებისას დადგება საპირისპირო შედეგი ანუ მოგებისა და კაპიტალის შესაბამისი ოდენობით შემცირება.

	GEL/USD +20%		GEL/USD -20%	
	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოგება ან ზარალი	(2,702)	-	2,702	-

	GEL/EUR +20%		GEL/EUR -20%	
	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოგება ან ზარალი	(344)	-	344	-

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

18.5 საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

კომპანიაზე მოქმედებს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ის სახსრებს სესხულობს როგორც ფიქსირებული, აგრეთვე მცურავი საპროცენტო განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს ამ ორი ტიპის აღებულ სესხებს შორის სათანადო ბალანსის დაცვით.

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე ახსნილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ნაწილში.

ქვემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი გაკეთდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს არაწარმოებულ ინსტრუმენტებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე დამოკიდებულების საფუძველზე. მცურავგანაკვეთიანი ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარი ნაწილი დასაფარი იყო მთელი წლის განმავლობაში. 1.5%-იანი მატება ან კლება გამოიყენება მაშინ, როდესაც საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ ინფორმაცია წარედგინება უმაღლეს ხელმძღვანელობას. იგი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ ინფორმაცია წარედგინება უმაღლეს ხელმძღვანელობისეულ შეფასებას. საპროცენტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების ცვლადების მუდმივობის პირობებში კომპანიის 2021 წლის მოგება დაიკლებდა/მოიმატებდა 230 ათასი ლარით. ეს ძირითადად გამოწვეულია კომპანიის დამოკიდებულებით ცვლადგანაკვეთიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე.

18.6 საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკი წარმოადგენს იმის რისკს, რომ რომელიმე კლიენტი ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიადგება ფინანსური ზარალი. კომპანიის რისკდამოკიდებულება და კონტრაგენტების საკრედიტო რეიტინგები მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა და ტრანზაქციების მთლიანი ღირებულება გადანაწილებულია დამტკიცებულ კონტრაგენტებს შორის.

სავაჭრო მოთხოვნები მხოლოდ ერთი კლიენტის მიმართ არსებობს - სახელმწიფო ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი “ესკო”. ეს მოთხოვნა საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ დაიფარა.

18.7 ლიკვიდობის რისკის მართვა

კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს საკმარისი რეზერვების, საბანკო სესხის ხაზებისა და სარეზერვო საკრედიტო ხაზების საშუალებით, საპროგნოზო და ფაქტობრივი ფულადი სახსრების მოძრაობის მუდმივი მონიტორინგითა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შედარებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია დაფარვის შეთანხმებული პერიოდების მქონე არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა. ცხრილები შეიქმნა ფინანსურ ვალდებულებებზე არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე იმ უახლოესი ვადის გათვალისწინებით, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილებში შესულია ფულადი სახსრების მოძრაობა როგორც პროცენტზე, აგრეთვე ძირითად თანხაზე. მცურავი საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში, არადისკონტირებული ოდენობა მიღებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან. საკონტრაქტო ვადიანობა ეფუძნება იმ უახლოეს ვადას, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	შეწონილი საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	3 თვიდან					საბალანსო ღირებულება
		ერთ თვემდე	1-3 თვე	1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	
	%					სულ	
31 დეკემბერი 2021							
პროცენტის გარეშე	-	440	-	1,930	-	-	2,370
პროცენტისა							
ინსტრუმენტები	9%	469	-	1,774	8,971	10,846	22,060
		909	-	3,704	8,971	10,846	24,430
							17,677

31 დეკემბერი 2020
პროცენტის გარეშე

- - - - -

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

პროცენტიანი
ინსტრუმენტები

-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილში შესული თანხები, ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შემთხვევაში, ცვლილებას ექვემდებარება, თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი განსხვავდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთის შეფასებისგან.

18.8 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით: (1) პირველი დონე არის შეფასება კვტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ იზომება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება ნაჩვენებია

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონითა და არა სამართლიანი ღირებულებით გაზომილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებია:

(GEL'000)	31 დეკემბერი 2021				31 დეკემბერი 2020			
	1 დონე	2 დონე	3 დონე	საბალანსო ღირებულება	1 დონე	2 დონე	3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ეკვივალენტები	2,357	-	-	2,357	-	-	-	-
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	456	456	-	-	-	-
- შეზღუდული საბანკო ანგარიში	-	-	-	-	-	-	-	-
- გაცემული სესხები	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აქტივები	2,357	-	456	2,813	-	-	-	-
ვალდებულებები								
- აღებული სესხები	-	-	11,466	11,466	-	-	-	-
- ბანკის სესხი	-	-	-	-	-	-	-	-
- ობლიგაციები	-	3,841	-	3,841	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-	-
- სავაჭრო გადასახდელი ები	-	-	2,371	2,371	-	-	-	-

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

სულ							
ვალდებულებ							
ები	-	3,841	13,837	17,678	-	-	-

დადგინდა, რომ ისეთი მცურავგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე, მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. არაკვოტირებული ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალ ინსტრუმენტებზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მისაღები სამომავლო ფულადი სახსრების საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ბაზარზე არკვოტირებული დადგენილი ვადიანობის, ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

19. ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიასა და მეკავშირე მხარეებს შორის განხორციელებული ტრანზაქციების თაობაზე.

19.1 მეკავშირე მხარეებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე	-	-

19.2 უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წლის განმავლობაში დირექტორებისა და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა პირების ანაზღაურება იყო:

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ხელფასები	-	-

19.3 მეკავშირე მხარეებთან განხორციელებული სხვა ტრანზაქციები

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანიამ მეკავშირე მხარეებთან განხორციელა შემდეგი ტრანზაქციები:

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
მმართველობის საფასური	336	-

მმართველობის საფასური უკავშირდება შპს „ესარჯი ინვესტმენტის“, რომელიც წარმოადგენს ბენეფიციარი მესაკუთრეების მიერ კონტროლირებად კომპანიას, მიერ გაწეულ მომსახურებას. სერვისები მოიცავს მმართველობის და ადმინისტრაციულ მომსახურებებს, რაშიც შედის IT, იურიდიული, გაყიდვების (კომერციული) მართვის მომსახურებები, ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური მართვა და სხვა მსგავსი მომსახურებები. 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მმართველობითი საფასურისთვის გადასახდელი თანხა შესაბამისად შეადგენდა 170 ათას და 0 ლარს.

20. პირობითი ვალდებულებები

20.1 სამართლებრივი დავები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

20.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მუდმივი შემუშავების პროცესშია. ამის გამო არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა, რომლებიც შეიძლება რეტროაქტიური იყოს. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში. ამიტომ კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

20.3 საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016-2021 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე ასევე ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და მარეგულირებელი მოვლენები.

გარდა ამისა, 2021 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რასაც 2021 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ

შპს “სილქ ენერჯი ჰოლდინგ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის (გაგრძელება)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
(ათას ლარში)

მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესებზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დაზიანების, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. გარდა ამისა, კომპანიაზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. კოვიდ-19-ის პანდემიას ელექტროენერგიის გამომუშავებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონია.

21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების თაობაზე. 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა უკრაინაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება და რუსეთი უკრაინას თავს დაესხა.

ამ მოვლენების შემდგომ აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა სანქციები გამოუცხადეს რუსეთის გარკვეულ ოფიციალურ პირებს, ბიზნესმენებსა და კომპანიებს. აღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს რუსული ბიზნესისათვის საერთაშორისო კაპიტალისა და ექსპორტის ბაზრებზე წვდომის შეზღუდვა, რუსული რუბლის გაუფასურება, კაპიტალის ბაზრების შემცირება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. რუსეთმა უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებულ სანქციებს უპასუხა 2022 წლის ბოლომდე გარკვეული პროდუქტების მთელ რიგზე ექსპორტის აკრძალვით.

საქართველოს ეკონომიკის ორი მსხვილი სექტორი, მედვინეობა და ტურიზმი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსულ ბაზარზე: 2021 წელს ქართული ღვინის საექსპორტო მოცულობის 55% გავიდა რუსეთში (130 მილიონი აშშ დოლარი). მეორე ადგილზე ღვინის ექსპორტით არის უკრაინა (25 მილიონი აშშ დოლარი). ტურიზმის თვალსაზრისით რუსეთსა და უკრაინაზე აგრეთვე მოგზაურთა დიდი ნაწილი მოდის.

ამ ეტაპზე კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნული და მომავალი მოვლენების დარტყმის განსაზღვრა ძნელია. თუმცა, კომპანიის ოპერაციებზე პირდაპირი დარტყმა მოსალოდნელი არ არის.